

სერვისები სტუდენტებისთვის!

1. კლუჯში მოქმედებს სტუდენტთა/ მსმენელთა უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;

ა/ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა/პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენლთან კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია სტუდენტთა/ მსმენელთა /კანონიერ წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობები

ბ/ პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

2. მოქმედებს პროფორინტაციის და კარიერის დაგეგმვის სერვისი

ა/ აპლიკანტებს ეხმარება მიიღოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროგრამების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილების, პროფესიული ტესტირების შესახებ

ბ/ პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უწევს კონსულტირებას დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აძლევს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების, ვაკანსიების შესახებ, სტუდენტთა მონაწილეობით აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან.

3. სსსმ და შშმ პირების მხარდაჭერა

ა/ სსსმ და შშმ პირებისათვის შექმნილია ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით

ბ/ ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ჩართულია სსსმ და შშმ პირების მიერ პროფესიული განათლების მიღების და მომსახურების პროცესში

გ/საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლება მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმით

დ/ საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ პირებს კოლეჯი სთავაზობს სატრანსპორტო მომსახურებას

4. ბიბლიოთეკით სარგებლობა

ა/ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო ლიტერატურით

ბ/ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ისარგებლოს სამკითხველო დარბაზით, რომელშიც განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები.

გ/ ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.

დ/ ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 09:30 დან 18.30 საათამდე.

5. ინტერნეტით სარგებლობა

ა/ სასწავლო სახელოსნოების, ლაბორატორიების და აუდიტორიების კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში და ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის/მსმენელთათვის

ბ/ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია უკაბელო ინტერნეტი/Wifi -ით სარგებლობა კოლეჯის ტერიტორიაზე

6. სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა

ა/სტუდენტების/მსმენელების ინიციატივები შემოქმედებითი, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების ჩატარების მიმართულებით ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილია

ბ/სტუდენტთა ინოვაციური იდეების, პროექტების რეალიზებისთვის ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FABLAB

7. სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა

ა/სწავლის დაწყებისთანავე ხორციელდება სტუდენტების/ მსმენელების კოლეჯში ადაპტირება.

ბ/გაიცემა ცნობები სტუდენტის/ მსმენელის საჭიროებების მიხედვით

გ/ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს/მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის მიკროავტობუსის მომსახურებით

გ/სტუდენტს/ მსმენელს შეუძლია ისარგებლოს საკოლნსულტაციო მომსახურებით, მათ შორის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ

8. ღონისძიებები

1. გარდა ხარისხიანი განათლების მიწოდებისა, კოლეჯი ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობს შესაძლებლობებს

9. სტაჟირება

სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებში პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით.

10. ჯანდაცვის სერვისი

ა/სტუდენტს/მსმენელს შეუძლია ისარგებლოს მედიის მომსახურებით